ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲒᲐᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 19 (19760) ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 23 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲣᲤᲠᲝ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲐᲓ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ხარისხის გაუმჯობესების გზა საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში“ იოლი როდია. უკვე რამდენიმე წელია კოლექტივს ვერ უზრუნველუყვია, რომ წარმოების ტექნოლოგიური დონე აკმაყოფილებდეს დროის მოთხოვნებს. ქართველ ავტომობილშენებლებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ კრიტიკა, რომელიც მათი მისამართით გაისმა სკკპ XXVII ყრილობაზე. და ამიტომ სახელმწიფო მიღების შემოღება საწარმოში აღიქვეს ახალ მოჯნებზე გასვლის დროულ და აუცილებელ ღონისძიებად.

იმაზე, თუ რა მუშაობა მიმდინარეობს საწარმოში სახელმწიფო მიღების შემოღების შემდეგ, რა ამოცანები დგას მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ილაპარაკეს ამ გაერთიანებაში გამართულ თათბირზე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მთელი რიგი საკავშირო და რესპუბლიკური უწყებების ეკონომიკური სამსახურების, დიდი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

თათბირის დაწყებამდე მისი მონაწილეები გეიცნენ საქმის ვითარებას ადგილებზე, შეხვდნენ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, რომლებმაც გულახდილად ილაპარაკეს უწესივრობებსა და მათი წარმოქმნის მიზეზებზე.

შეხვედრების დროსაც, თათბირზეც აღინიშნა, რომ ძალზე ცუდად არის საქმე სამსხმელო, სამჭედლო საამქროებში. აქ კიდევ მოქმედებს ამორტიზებული მოწყობილობა, ხშირად გამოდის მწყობრიდან წნეხები და ურიკები, დიდია ნაჭედის ნომენკლატურა, რომლის დამზადება პრაქტიკულად შეუძლებელია.

არ წყდება ტექნოლოგიური პროცესების დარღვევაც, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. ამას ყველაზე კარგად მოწმობს სახელმწიფო მიღების მონაკვეთები. მთლიანად ქარხანაში იანვრის მანძილზე ხარისხის ამ ახალმა არასაუწყებო სამსახურმა მიიღო მხოლოდ წარდგენილი პროდუქციის მესამედი.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ყველა სამსახური მოუმზადებელი აღმოჩნდა მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობისათვის, საწარმო უკვე დიდი ხანია იქცა ზარალდაგებულ საწარმოდ და არ შეუძლია თავი [illegible] მძიმე ფინანსურ მდგომარეობას.

ამასთან, თათბირზე აღინიშნა, რომ ქართველ ავტომობილშენებელთა მუშაობაში წინათაც არაერთხელ შეინიშნებოდა ჩაყარდნა, მაგრამ ისინი პოულობდნენ სახსრებსა და საშუალებებს მისი დაძლევისათვის. გამოითქვა რწმენა, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ამჯერადაც დაძლევს ჩამორჩენას და აღიდგენს მოწინავე კოლექტივის კეთილ სახელს დარგსა და რესპუბლიკაში.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი და სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ნ. ა. პუგინი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. დ. მახარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე კ. ვ. კაპანაძე.

(საქინფორმი).

ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გრძანებულება იმის შესახებ, რომ კვირას, 1987 წლის 22 თებერვალს დანიშნულია დეპუტატთა არჩევნები შემდეგ საარჩევნო ოლქებში: ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 5 ლენინის, გლდანის რაიონის № 19 გლდანის, კიროვის რაიონის № 47 ბარათაშვილის, ქალაქ გორის № 117 ძნელაძის, თელავის რაიონის № 226 იყალთოს, ახმეტის რაიონის № 229 მატნის, ზესტაფონის რაიონის № 239 ძირულის, ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის № 263 გრიშაშვილის, აბაშის რაიონის № 320 ძველი აბაშის, ცხაკაიას რაიონის № 321 ლენინის, ქალაქ ზუგდიდის № 329 ლენინის, ქალაქ ბათუმის № 402 ლენინისა და ქობულეთის რაიონის № 413 მუხაესტატეს ოლქებში.

არჩევნები აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში ეწყობა გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲗᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲗᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 1987 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 23 იანვარს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ტელეფონები: 99-74-07, 99-92-79.

24 იანვარს რეგისტრაცია იწარმოებს 8 საათიდან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲔᲑᲐ 1987 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲓᲐ 30 ᲬᲣᲗᲘᲡ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ᲡᲐᲫᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ — ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡ-ᲠᲫᲔ“ ᲣᲜᲐᲠᲩᲔᲜᲝ ᲜᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲐ

რძის სამრეწველო გადამუშავების უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადავიდა საწარმოო გაერთიანება „თბილისრძე“, რომლის წილად მოდის რესპუბლიკაში გამოშვებული რძის პროდუქციის თითქმის ორი მესამედი. ამის წყალობით აქ ყოველ ტონა გადამუშავებულ რძეზე სახელმწიფო პროდუქციის თანხა 824 მანეთს შეადგენს, რაც 90 მანეთით აღემატება ქვეყანაში ანალოგიურ მაჩვენებელს.

— სპეციალისტებისა და მეცნიერების გულმოდგინე ძიებას, — თქვა საწარმოო გაერთიანება „თბილისრძის“ გენერალურმა დირექტორმა, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა დ. ხ. დათოშვილმა, — მოპყვა ის, რომ შეიქმნა რძის შრატისგან რძის შაქრის — ლაქტოზის მიღების ორიგინალური ტექნოლოგია ეროვნული ცილოვანი პროდუქტის „ნადუღის“ გამომუშავების პარალელურად, რომელზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა. ეს მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა ნაყოფიერი თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია. სხვათა შორის, „ნადუღის“ გამოშვების ლიცენზია იაპონიამ შეიძინა.

გაერთიანება, რომელიც რაციონალურად და კომპლექსურად იყენებს რძეს, ხაჭოს შრატს, უშვებს ახალ ყველს „ახალი“ და „თბილისური“, ალბუმინიან ხაჭოს, ალბუმინ-ხაჭოს ყველიულს ცატრუხის შემვსებით, შრატკვერცხის კონცენტრატს, ყველის მასა „გელათს“, ხილ-შოკოლად-ლიპიდის პასტა „ცისარტყელას“, ხაჭაპურის მასას „ჰვიშტარს“ და ა. შ. გაერთიანების პროდუქციის ასორტიმენტში 85 დასახელებაა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ქიმიკოს-ტექნოლოგი დალი ხაჩიძე „თბილისრძის“ პროდუქციის დემონსტრირებას ახდენს; არაუნის საამქროს ინჟინერ-ტექნოლოგი ციცინო გოცირიძე და დამფასებელი ნანა კაპანგრანოვი პროდუქციას ამზადებენ სავაჭრო ქსელში გასაგზავნად.

ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲬᲐᲛᲐᲢᲔᲒᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲐᲮᲕᲔᲕᲐᲡ — ᲛᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში წამატებებისა და თვალისახვევის ფაქტები. აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ყველგან როდი გამოიტანეს სწორი დასკვნები პარტიისა და მთავრობის მითითებებიდან დისციპლინისა და ფასრიგის განუხრელი განმტკიცების აუცილებლობის, სახელმწიფოს მოტყუების შეუწყნარებლობის შესახებ. არ აღმოფხვრილა მანკიერი პრაქტიკა, როდესაც ამახინჯებენ ფაქტებს, ცდილობენ შეიტანამაზონ საქმის სამდგომი ვითარება, შენიღბონ შრომითი პროცესის უხეირო ორგანიზაცია, უიერარქიობა, უმოქმედობა და უყაირათობა.

როგორც სსრ კავშირის მშენებლების მუშაკთა მიერ განხორციელებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, სამშენებლო ორგანიზაციათა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ისარგებლა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, საგეგმო და სტატისტიკური ორგანოების წყალობით, და დაადგა მოჩვენებითი კეთილდღეობის წარმოსახვის გზას. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს (მინისტრი — დ. გ. მანჯგალაძე) მიერ შარშან დეკემბერში საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტებიდან არასაკმარისი სამშენებლო მზობის გამო ყოველი მესამე ამოღებული სახელმწიფო ანგარიშგებიდან.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ასეთი დარღვევები გამოიწვია საბჭოთა და საანგარიშგებო დისციპლინის დონემ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, რომლის კოლეგიას არ უკავია აქტიური პოზიცია სამშენებლო წარმოების ორგანიზაციაში მკაცრი წესრიგის დასამყარებლად ბრძოლაში. მინისტრის მოადგილეებმა შეასუსტეს მომკითხველობა საკონტროლო სამსახურებისა და ქვედანაყოფებისადმი, ჭეროვნად ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციურ მოვალეობებს.

სამინისტროს ხელმძღვანელობა აზვიადებს მიღწეულ წარმატებებს, არ იჩენს თვითკრიტიკულობას და არ აძლევს პრინციპულ შეფასებას ბევრისი საქმიანობის შედეგებს. სამინისტროს აპარატს მუშაობაში აკლია ოპერატიულობა, სუსტია საშემსრულებლო დისციპლინა. ჭეროვან მებრძოლურობას არ იჩენენ მმართველობისა და წარმოების ქვეგანაყოფების პარტიული ორგანიზაციები.

სათანადო დონეზე ვერ არის იკონომიკური, საკონტროლო-სარეგიზიო, სააღრიცხვო-საანგარიშგებლო მუშაობა, ხელმიშვებულია საფინანსო მეურნეობა (მინისტრის მოადგილე რ. ი. თათეიშვილი).

ანგარიშგების განსაკუთრებით დიდი დარღვევები, ნამდვილად არსებული მდგომარეობის დამახინჯებანი დაშვებულია მთელ რიგ ობიექტებში, რომლებსაც კურირებს რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. გ. ქართველიშვილი. წამატებებია ვამი პატაკებიდან ამოირიცხა 106 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ერთი სკოლა, ორი საბავშვო ბაღი და ორი პოლიკლინიკა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ობიექტების ამოქმედების გეგმების შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად (კურატორი — მინისტრის მოადგილე — რ. ი. თათეიშვილი), ანგარიშგებიდან ამოირიცხა ექვსი საცხოვრებელი სახლი, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი ობიექტები. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა აჭარაშიც, სადაც სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობისათვის პასუხისმგებელია მინისტრის მოადგილე თ. გ. ყორდანია, და რუსთავში (კურატორი — მინისტრის მოადგილე — შ. ა. ლომიძე).

ობიექტების მიღების დაწესებული ნორმების უხეში დარღვევით გადაეცა საექსპლოატაციოდ ტყვარჩელის საერთო საცხოვრებელი, რომელიც სამეურნეო წესით აშენა გაერთიანება „საქქვანახშირმა“ (გენერალური დირექტორი — ბ. გ. სანეკიძე), აგრეთვე დღეში 800 პაციენტის მიღებისათვის განკუთვნილი პოლიკლინიკა და 210-სადგომიანი სამედიცინო-სანიტარიული ნაწილი, რომლებსაც აშენებს თბილისის დომიტორეთის სახელობის საავიაციო ქარხანა (დირექტორი — ჰ. შ. თორდია).

ჯერ კიდევ გრძელდება ბამზადებული სანეკინრო კომუნიკაციების მოკლებული ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის მანკიერი პრაქტიკა. სრულიად შეუფუყნარელი მდგომარეობა შეიქმნა სოხუმის თბომეურნეობის ობიექტების მშენებლობაზე (კურატორი — მინისტრის მოადგილე — რ. ი. თათეიშვილი) და ზესტაფონის რაიონში (კურატორი — მინისტრის მოადგილე გ. ლ. ლისიკინი).

ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღების წესისა და ანგარიშგების სერიოზული დარღვევები მნიშვნელოვანწილად რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს (უფროსი — ბ. ა. ზატუაშვილი) და მისი რეგიონული ქვანაყოფების ხელმძღვანელობის უპრინციპობის ბრალია. მთავარი სამმართველოს აპარატში დაბალ დონეზეა პასუხისმგებლობა და მომკითხველობა. არ არის შექმნილი სახელმწიფო დისციპლინისა და ანგარიშგების დარღვევებისადმი შეუუწყნარებლობის ვითარება.

დამაკმაყოფილებლად ვერ უწევს კონტროლს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ხარისხს რესპუბლიკის სახამშენი (თავმჯდომარე — გ. ზ. მირიანაშვილი). ამას შედეგად მოსდევს სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევის მრავალი ფაქტი. პრაქტიკულად ფორმალურად მიქმედებს საავტორო ზედამხედველობა.

დარგში შექმნილ მდგომარეობაზე გავლენა მოახდინა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს არადამაკმაყოფილებელმა მუშაობამ (მინისტრი — ნ. გ. ვაშაძე). არ ახორციელებენ ჯეროვან კონტროლს და სუსტად ახდენენ გავლენას სამუშაოთა ხარისხზე, არ აღკვეთენ მშენებლობადაუმთავრებელი ობიექტების ჩასაბარებლად წარდგენას სსრ კავშირის მშენბანკის რესპუბლიკის კანტორა (მმართველი — ზ. გ. გენძეხაძე) და მისი ტექნიკური სამსახური (მთავარი ინჟინერი — ი. ო. ბოკერია). წამატებებისა და თვალისაზვევის მიმართ ლიბერალურ პოზიციას ადგანან მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ უხეშად დაუმახინჯებიათ საანგარიშგებლო მონაცემები თბილისის (თავმჯდომარე — ზ. შ. მესხიშვილი), სოხუმის (თავმჯდომარე — კ. ტ. ბიგვავა), ბათუმის (თავმჯდომარე — რ. ხ. დოლიძე), რუსთავის (თავმჯდომარე — კ. შ. ბაქრაძე), ტყვარჩელის (თავმჯდომარე — ნ. ი. ხარბედია), გაგრის (თავმჯდომარე — დ. მ. დოღონაძე) საქალაქო აღმასკომებს და გუდაუთის რაიაღმასკომს (თავმჯდომარე — ს. რ. ტარკილი).

დამაკმაყოფილებლად ვერ ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის ორგანიზაციათა საქმიანობას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ი. ქედიშვილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილება ეფექტიან ღონისძიებებს არ მიმართავს პარტიული გავლენის გასაძლიერებლად იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დარგის მუშაობის ორგანიზაციაში ნაკლოვანებანი და განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა, აღიკვეთოს წამატებები და თვალისაზვევა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და მისი კოლეგიის მუშაობა და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი დ. გ. მანჯგალაძე სახელმწიფო ანგარიშგებაში დაშვებული დარღვევებისათვის მკაცრად არის დასასჯელი. მაგრამ გაითვალისწინა რა მის მიერ გამოტანილი სწორი დასკვნები და თვითკრიტიკული შეფასება, აგრეთვე ხანმოკლე ყოფნა თანამდებობაზე, გადაწყვეტა დასჯერებოდა მისთვის მუშაობაში არსებული სერიოზული ხარვეზების მოთითებას.

საბინაო მშენებლობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის, საექსპლოატაციოდ გადასაცემი ობიექტების მზაობის უზრუნველყოფისადმი ჯეროვანი კონტროლის გაუწევლობისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა წამატებები და თვალისმაზვევა, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილეს, სკკპ წევრს გ. გ. ქართველიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საყრიცხვო ბარათში შეტანით. იგი გაფრთხილებულია, რომ მსგავსი მდგომარეობის განმეორების შემთხვევაში დაისმება დაკავებულ თანამდებობაზე მისი ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი.

მუშაობაში არსებული სერიოზული ხარვეზებისათვის, მშენებარე და ასამშენებელი ობიექტების ხარისხისადმი სუსტი კონტროლისათვის, ანგარიშგებაში დაშვებული დამახინჯებებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსს ბ. ა. ზატუაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საყრიცხვო ბარათში შეტანით. იგი აგრეთვე გაფრთხილებულია, რომ მსგავსი დარღვევების განმეორების შემთხვევაში დაისმება დაკავებულ თანამდებობაზე მისი ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი.

მშენებლობის ნორმებისა და წესების დაცვისადმი კონტროლის გაუწევლობისათვის, არადამაკმაყოფილებელი საავტორო ზედამხედველობისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადა რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარეს, სკკპ წევრს გ. ზ. მირიანაშვილს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რჩევა მიეცა განიხილოს საქართველოს სახმშენის ხელმძღვანელობის განმტკიცების საკითხი.

საშენი მასალებით საიჯარო ორგანიზაციების შეუფერებელი უზრუნველყოფის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაფრთხილა რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ნ. გ. ვაშაძე, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად ამომწურავი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში იგი მიეცემულ იქნება მკაცრ პარტიულ პასუხისგებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეუწონლად ცნო ე. ი. ქედიშვილის შემდგომი ყოფნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე. დაკმაყოფილებულია ამბ. ი. ი. ქედიშვილის თხოვნა პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, უწყება-საინსტრუქციოებს მიუთითა, რომ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, წამატებებისა და თვალისახვევის ფაქტების აღმოფხვრისათვის ბრძოლის გაძლიერება უნდა მიიჩნიონ უპირველესი მნიშვნელობის საქმედ, მუშაობის გარდაქმნის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაეკალა შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს სამშენებლო ორგანიზაციათა საფინანსო მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესებისათვის, დაგეგმვის, ტექნიკური განვითარების, დარგის მომარაგების ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის და კადრების პრობლემის გადაჭრისათვის.

როგორც ხაზგასმით აღინიშნა, იმის გამო, რომ ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესაბამისმა განყოფილებებმა, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ადგილობრივმა საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანოებმა შეასუსტეს კონტროლი მშენებლობის დარგისადმი, წამატებებისა და თვალისახვევის აღმოფხვრისადმი, რესპუბლიკამ არსებითი ზარალი განიცადა და დაკარგა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღო გასული წლის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მშენებარე ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისას სახელმწიფოს მოტყუების ფაქტების ამსახველი მასალები გადაეცა საქართველოს სსრ პროკურატურას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების მისაღებად.

(საქინფორმი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

21 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები და წლევანდელი გეგმის შესრულების ამოცანები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხის ინ ფადიერი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის შედეგად, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმსა და პარტიის XXVII ყრილობას მოჰყვა, გასულ წელს მიღწეულია პოზიტიური ძვრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბისა და ეფექტიანობის შემდგომი ზრდა, ეკონომიკაში დაიწყო გამოცოცხლების პროცესი, გაუმჯობესდა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა.

თანამშრომეურნეობა ხორციელდებოდა სახალხო მეურნეობის გარდაქმნის, მისი განვითარების ნეგატიური ტენდენციების დაძლევის, სოციალური და სამეურნეო პრობლემების გადაჭრისადმი ახლებური მიდგომის დამკვიდრების ღონისძიებები. მრავალი წლის მანძილზე პირველად გაძლიერდა ზრდის ტემპი საზოგადოებრივი წარმოების თითქმის ყველა დარგში, ხოლო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით მათ მიაღწიეს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ საშუალო წლიურ დონეს.

წარმოებული ეროვნული შემოსავალი გადიდდა 4,1 პროცენტით გეგმით განაგარიშებული 3,9 პროცენტისა და 1985 წლის 3,5 პროცენტის ნაცვლად. მრეწველობის პროდუქციის გამოშვების მოცულობის მატებამ შეადგინა 4,9 პროცენტი დაგეგმილი 4,3 პროცენტის ნაცვლად. პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობის წლიური დავალება შესრულებულია 101 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 9 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

ხორციელდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებანი. გაუმჯობესდა მრეწველობის აღჭურვა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებებით, გაფართოდა პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება სახალხო მეურნეობის დარგებში. იხვეწებოდა საინვესტიციო პოლიტიკა. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 8 პროცენტით გაიზარდა. ამასთან უპირატესი ტემპით მიმდინარეობდა მოქმედ წარმოებათა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება.

უფრო აქტიურად ხორციელდებოდა პარტიის მიერ შემუშავებული სოციალური პოლიტიკა. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 2,7 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 4 პროცენტით. განხორციელდა განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა ხელფასის მომატების ღონისძიებანი. გადიდდა მოსახლეობის დახმარება და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან. საცალო საქონელბრუნვა გაიზარდა 6,4 პროცენტით, ფასიანი მომსახურება 10,2 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბინაო და განსაკუთრებით სოციალურ-კულტურული მშენებლობის მასშტაბი.

გარკვეულ დადებით შედეგებს მიაღწიეს აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა. გაიზარდა მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის ძირითად სახეობათა, მეცხოველეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა. წარმოების მოცულობა სოფლის მეურნეობაში 5,1 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1985 წელს.

ამაღლდა ეკონომიკის ეფექტიანობა. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,8 პროცენტით 1985 წლის 3,2 პროცენტის ნაცვლად. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმები მრეწველობაში, მშენებლობაში და რკინიგზის ტრანსპორტზე. ეკონომიკის აღმავლობაზე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაზე დადებითი გავლენა მოახდინა საწარმოთა და გაერთიანებათა გადაყვანამ მეურნეობრიობის ახალ პირობებზე. როგორც წესი, ისინი უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევდნენ პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულების, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდის მხრივ. ამასთანავე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ არ შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებსაც პარტია სახავს თანამედროვე ეტაპზე. სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, კერძოდ, მოკავშირე რესპუბლიკებში გარდაქმნა ნელა მიმდინარეობს, არ ეხება სიღრმეულ პროცესებს; ჯერ კიდევ ყველა შრომითი კოლექტივი როდი ჩაება ამ საქმეში აქტიურად, ეკონომიკის განვითარებაში არსებული უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრა არ მიმდინარეობს საკმაო შეუპოვრობითა და სიმტკიცით.

მრავალი უწყება და სამინისტრო არ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად. 1986 წელს გაერთიანებათა და საწარმოების 27 პროცენტმა ვერ შეასრულა პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი. თავიანთ შესაძლებლობებზე უარესად მუშაობდნენ მანქანათმშენებლობის, ქიმიური, ხეტყის, ქაღალდისა და მსუბუქი მრეწველობის გაერთიანებანი და საწარმოები. მანქანათმშენებლობისა და ზოგიერთმა სხვა სამინისტრომ ვერ გამოიტანა ჯეროვანი დასკვნები მათ მიმართ გამოთქმული სერიოზული კრიტიკიდან და ვერ მიაღწია ორსებითს გარდატეხას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის

ᲕᲐᲠᲯᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲡᲐᲮᲡᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის განვლილმა დღეებმა გამოკვეთა სახელმწიფო მიღების პირობებში საწარმოთა მუშაობის პირველი შედეგები.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“ ჩვენი რესპუბლიკის იმ 22 საწარმოს შორის არის, რომლებიც იანვრიდან პროდუქციის მიღების არასაუწყებო კონტროლზე გადავიდნენ.

როგორ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲡ ᲛᲘᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ? ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲔᲢᲐᲞᲖᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲠᲝᲚᲘ? — ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲒᲘᲞᲐᲣᲑᲠᲘᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ ᲒᲘᲖᲝ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲭᲝᲨᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

— პირველი დღეებიდანვე გამოეხმაურა ჩვენი გაერთიანება სახელმწიფო მიღებაზე გადასვლას. ეს არის სერიოზული მიზეზი კოლექტივებისათვის, რათა აწონ-დაწონონ თავიანთი შესაძლებლობანი, ეძიონ გამოყენებული რეზერვები. გულდასმით შევისწავლეთ არსებული მდგომარეობა და მოვემზადეთ ახლებურად მუშაობისათვის. სპეციალურად ამ საკითხებს მივუძღვენით რამდენიმე პარტიული კომიტეტის სხდომა. გაიმართა ქარხნის პარტიულ-საპარტიო აქტივის კრებაც, საამქროებში — თათბირები, რათა თითოეულ მუშას კარგად გაეგზარდინა ამ საქმის არსი და მნიშვნელობა, გამოეთქვა საკუთარი აზრი და სურვილი. ᲛᲝᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗ სემინარები, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც ხელმძღვანელი მუშაკები, ასევე მუშები. შეიქმნა სახელმწიფო მიმღები ჯგუფი ცხრა კაცის შემადგენლობით. მას ხელმძღვანელობს ქარხნის მთავარი ინჟინერი ანდრო ბერიძე.

ასამოქმედებელი რეზერვების ᲛᲝᲛᲖᲘᲚᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ შეუწყო მუშაობა ატესტაციამ და დანადგარების ინვენტარიზაციამ. ძირითად მწარმოებელ საამქროებში მოეწყო 988 დანადგარის ატესტაცია. 171 დანადგარი არ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს, მათგან 46 მოიხსნა და გადაეცა სახალხო მეურნეობას. ის დეტალები, რომლებიც მათზე მუშავდებოდა, გადანაწილდა სხვა ჩარხებზე. ამაღლდა დატვირთვის კოეფიციენტი და გაიზარდა ცვლითობა. შესრულდა დანარჩენი დაზგა-დანადგარების აუცილებელი სარემონტო სამუშაოები.

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ აქტიურად ჩავაბთ საწარმოს მრავალტარაიანი გაზეთი „ელმავალმშენებელი“, რომლის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა მასალები სახმიღების ამა თუ იმ მტკივნეულ საკითხზე. მუშაობაში ჩაბმული იყო ადგილობრივი რადიოჟურნალიც. ქარხნის სტამბაში დაიბეჭდა მიმართვა მუშებისადმი, თუ რა პირობებში ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ნაწარმის სახმიღება, მატერიალური სტიმულირების რა ახალი ფორმები დაინერგება. მიმართვა დაურიგდა ჩვენი კოლექტივის ყველა წევრს. მოვაწყვეთ სოციოლოგიური გამოკვლევა, თუ რაზეღნად ვიყავით მზად მიღებისათვის.

— ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲗᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲐᲜᲬᲘᲛᲘᲚᲝᲑᲐᲡᲐ. ისინი ᲛᲘᲖᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ როგორც საწოგადოებრივი წარმოების ობიექტურ პირობებს, ასევე ადამიანის ფსიქოლოგიას, ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘᲡ მის დამოკიდებულებას.

გინდა იმუშაო? ისწავლე მუშაობა, იყავი შენი საქმის ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ოსტატი, — ასე დადგა დღეს საკითხი. პირველ საწარმოთა მუშაობის გამოცდილებამ სახმიღების პირობებში დაგვანახვა, რომ ამას აღფრთოვანებით შეხვდნენ მაღალი კვალიფიკაციის მუშები და ინჟინრები. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲐᲒᲜᲐ და შეაშინა ახალ პირობებში მუშაობამ. სწორედ აქ გახდა საჭირო პარტიული კომიტეტის ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობა არა მარტო ხელმძღვანელებთან, არამედ რიგით კომუნისტებთან, უპარტიო მშრომელებთან. რა გაკეთდა ამ მიმართულებით?

— დიდი განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობა მოგვიხდა. ჩვენი ᲞᲘᲗᲐᲕᲘᲠᲘ ამოცანა სწორედ ის იყო, რომ კოლექტივის თითოეულ წევრს გაეგო, რა ამოცანებს უსახავს სახმიღება როგორც მთელ კოლექტივს, ასევე მას თითოეულ წევრს, გეგონა პირადი პასუხისმგებლობა ᲘᲗ ტექნოლოგიური ოპერაციის ხარისხისათვის, რომელსაც იგი ასრულებს. ავუხსენით, როგორ მოხდება პრემირება პირველი წარდგენთ, მეორე წარდგენის ჩაბარების შემთხვევაში, ან რა პირობებში ᲕᲘᲝᲠᲮᲚᲔᲑᲐ პრემია. თუ წინათ პრემიის მაქსიმალური ოდენობა ნაწარმის ხარისხისათვის პირველი წარდგენთ ჩაბარებული პროდუქციის 85 პროცენტით განისაზღვრებოდა, ახლა ასი პროცენტით განისაზღვრება.

ქარხნის ტერიტორიაზე გამოიყო სპეციალური კუთხე, სადაც კოლექტივის თითოეულ წევრს შეუძლია მიიღოს ᲐᲗᲛᲝᲬᲛᲠᲘᲐᲠᲘ პასუხი მისთვის საინტერესო ანდა გაუგებარ საკითხზე. ყურადღებით ვისმენთ და ვაანალიზებთ მუშების შენიშვნებს, მათს პრეტენზიებს. ვცდილობთ უფრო ქმედითი გავხადოთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიების საქმიანობა.

— რას გვეტყვით პირველ შედეგებზე?

—პროდუქციის მიღება უნდა დაწყებულიყო პირველი იანვრიდან. ჯერ კიდევ ოქტომბერში ჩავაბარეთ 25 პროცენტი, ნოემბერში — 30. იანვარში კეგმით უნდა ჩავაბაროთ 600 ათასი მანეთის პროდუქცია, ჯერჯერობით მდგომარეობა არცთუ დიდად სახარბიელოა. პარტიული კომიტეტი თავის სხდომებზე სისტემატიურად ისმენს კომუნისტთა, პასუხისმგებელი მუშაკების ანგარიშებს გავლილ პერიოდში, სახავს საქმის გამოსწორების გზებს.

— რა პრობლემებს აწყდებით ახლის დამკვიდრებისას?

— ამჟამად ჩვენი უმთავრესი საზრუნავია ელექტროშტაბელების საამქრო, რომელიც სერიულად უშვებს კალინინგრადის ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ პროდუქტს. მას ჯერ კიდევ შარშან მოეხსნა ხარისხის ნიშანი. ელექტროშტაბელები ტექნიკურადაც და ტექნოლოგიურადაც არ არის სრულყოფილი და თავისი პარამეტრებით არ აკმაყოფილებს მთავარი შემკვეთის — ვაჭრობის სამინისტროს მოთხოვნებს. ეს საკითხი არაერთხელ განიხილეს სამინისტროში, დაისვა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

ამჟამად არსებული მდგომარეობით, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა 1992 წლამდე (ახალი მოდელის შემუშავების ვადა) იძულებულია გამოუშვას დაბალი ხარისხის, მოძველებული პროდუქცია და განიცადოს დიდი ზარალი. ამიტომ ეს საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს, ან უნდა შეიცვალოს კონსტრუქცია, ან საერთოდ მოიხსნას პროდუქცია წარმოებიდან. ვიმედოვნებთ, ეს საქმე დადებითად გადაწყდება.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება მარტო ელმავალმშენებლებზე კი არა, მომწოდებლებზეც არის დამოკიდებული. ᲛᲝᲮᲐᲒᲐᲠᲔᲑᲚᲘᲐ საწარმოს მასალებით უზრუნველყოფის საკითხი. კერძოდ, ფოლადის ჩამოსხმის საკითხი. თბილისის ფოლადოთუჯსამსხმელო ქარხნის პროდუქცია ქიმიურად და მექანიკურად არ შეესაბამება სტანდარტებს. საკითხი იმდენად მწვავედ დგას, რომ თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, დიდად შეფერხდება ელმავალსაშენებელი წარმოება.

როდესაც ქარხანამ სახმიღების პირობებში დაიწყო პროდუქციის შექმნა, პირველ-მეორე დღეს პროდუქცია ჩვეულებრივ მზადდებოდა, მაგრამ წარდგენა არ ხდებოდა. მან შემდეგ გარკვეული მუშაობა გაეწიეთ, მაგრამ არასწორი წარდგენისათვის ჯერ კიდევ ბევრ ᲗᲣᲨᲐᲡ ეხსნება პრემიები 25 პროცენტით, ზოგჯერ 100 პროცენტითაც.

წარმატების მისაღწევად ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უნდა დავძლიოთ ინერციის ძალა, ზოგი ამხანაგი გადავაჩვიეთ წუწუნს, მუდამ მხოლოდ ობიექტურ მიზეზებზე ჩივილს, თავდა თავია ჩვენი წარმოება უზრუნველყოთ სრულყოფილი დაზგა-დანადგარებით... ავამაღლოთ წარმოების კულტურა, განვამტკიცოთ საშემსრულებლო და ტექნოლოგიური დისციპლინა... ამით და მხოლოდ ამით მივაღწევთ პროდუქციის მსოფლიო სტანდარტების დონეზე გამოშვებას.

საუბარი ჩაიწერა

რ. ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲓᲠᲝᲖᲔ ᲒᲐᲜᲕᲡᲐᲯᲝᲗ, ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲕᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის 1986 წლის 30 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „სხვათა მოიმედეობით“. აქ ლაპარაკი იყო ბოსლების, პირუტყვის მომვლელების ბინების რემონტის გაჭიანურებაზე, საკვების დამზადების ნაკლოვანებებზე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანი. Ი. ᲩᲐᲒᲣᲨᲐᲫᲔ რედაქციას ატყობინებს:

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ გუდაუთის რაიკომის ბიურომ 1986 წლის 4 დეკემბერს განიხილა წერილში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც შემოწმებით დადასტურდა. მიღებული ზომების შედეგად რაიონის საშეფო ორგანიზაციებმა საზოგადოებრივი მეურნეობების ფერმები და მეცხოველეთა ბინები შეაკეთეს. მიუხედავად შარშანდელი ხანგრძლივი გვალვებისა, ᲧᲕᲔᲚᲐ მეურნეობის ფერმები საკმარისი საკვებით მომარაგდა. თითოეულ სულ პირუტყვზე დამზადდა 15 ცენტნერი საკვები ერთეული. საკვების დამზადება კვლავ მიმდინარეობს გაცვლითი ოპერაციების ხარჯზე. სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის კომპლექსში წლეულს გათვალისწინებულია პირუტყვის სადგომის მესამე ხაზის რეკონსტრუქცია, სარძეო და საკვები ბლოკების, აგრეთვე მომვლელთა ორი, თითო რვაბინიანი სახლის მშენებლობა. შარშან „კოლხეთმშენის“ ძალებით 70 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ მიწა დაᲨᲠᲔᲡ, წლეულს 200 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ დაᲨᲠᲝᲛᲑᲔᲗ, სადაც ინტენსიური ტექნოლოგიით დაითესება ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახები.

საკვების დამზადებაში ჩამორჩენისა და პირუტყვის ფერმების რემონტის გაჭიანურებისათვის კოლმეურნეობების თავმჯდომარეების — კომუნისტების ა. დბარის, ბ. შამბას, ი. ნანბას, ვ. ლეიბას და შეფორგანიზაციების ხელმძღვანელების — კომუნისტების მ. დასანიას, ე. არდზინბას პარტიული პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სადაც ისინი ირიცხებიან, ხოლო შემდგომ მათზე იმსჯელებს საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომი.

ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲮᲐᲖᲖᲔ

ᲒᲕᲘᲮᲐᲛᲝᲒᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ

ᲐᲒᲠᲝᲥᲔᲛᲘᲙᲘᲡ ინდუსტრიულმა მეთოდებმა, მარცვლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის პროგრესულმა ტექნოლოგიამ ახალი ხუთწლედის დასაწყისში საშუალება მისცა ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის მეთესლეობის სბჰოთა მეურნეობის მიწათმოქმედებს ყოველ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ გეგმით გათვალისწინებული 26 ცენტნერის ნაცვლად 55 ცენტნერზე მეტი მარცვლეული მოეწიათ. სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 750 ცენტნერის ნაცვლად მიჰყიდეს 1150 ცენტნერი სიმინდის ელიტური თესლი.

სბჰოთა მეურნეობის მექანიზატორებს, რომლებიც საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ემზადებიან, მზად აქვთ სახოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათ გადაწყვიტეს პირველი მარტისათვის შეეკეთონ შინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მთელი ტექნიკა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მექანიზატორი გიორგი ძაგოევი, სბჰოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი ვლადიმერ ჯიოევი და მთავარი ინჟინერი ᲰᲐᲡᲚᲔ დოგუზოვი ამოწმებენ სათესლეების რემონტის ხარისხს.

Ლ. ᲒᲣᲡᲚᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲝᲡᲐᲐᲤᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲚᲝ

ᲛᲔᲠᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲖᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲛᲪᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲝᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲝᲔᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲝᲡ რაიკომის ბიუროს 1986 წლის 4 დეკემბრის განიხილა წერილში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც შემოწმებით დადასტურდა. მიღებული ზომების შედეგად რაიონის საშეფო ორგანიზაციებმა საზოგადოებრივი მეურნეობების ფერმები და მეცხოველეთა ბინები შეაკეთეს. მიუხედავად შარშანდელი ხანგრძლივი გვალვებისა, ᲧᲕᲔᲚᲐ მეურნეობის ფერმები საკმარისი საკვებით მომარაგდა. თითოეულ სულ პირუტყვზე დამზადდა 15 ცენტნერი საკვები ერთეული. საკვების დამზადება კვლავ მიმდინარეობს გაცვლითი ოპერაციების ხარჯზე.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ

ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲜᲔᲜ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის 1986 წლის 30 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „სხვათა მოიმედეობით“. აქ ლაპარაკი იყო ბოსლების, პირუტყვის მომვლელების ბინების რემონტის გაჭიანურებაზე, საკვების დამზადების ნაკლოვანებებზე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანი. Ი. ᲩᲐᲒᲣᲨᲐᲫᲔ რედაქციას ატყობინებს:

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ გუდაუთის რაიკომის ბიუროს 1986 წლის 4 დეკემბრის განიხილა წერილში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც შემოწმებით დადასტურდა. მიღებული ზომების შედეგად რაიონის საშეფო ორგანიზაციებმა საზოგადოებრივი მეურნეობების ფერმები და მეცხოველეთა ბინები შეაკეთეს. მიუხედავად შარშანდელი ხანგრძლივი გვალვებისა, ᲧᲕᲔᲚᲐ მეურნეობის ფერმები საკმარისი საკვებით მომარაგდა. თითოეულ სულ პირუტყვზე დამზადდა 15 ცენტნერი საკვები ერთეული. საკვების დამზადება კვლავ მიმდინარეობს გაცვლითი ოპერაციების ხარჯზე.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲤᲘᲡᲐᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲪᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲝᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲝᲔᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲝᲡ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲙᲐᲕᲗᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘ ᲛᲔᲪᲘᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ

ფაქტები • მოვლენები

მშვიდობა ჩვენი საერთო საზრუნავია

საზღვარგარეთის პამოსმაურებანი სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივების გამო

საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად და მტკიცედ უპირისპირებს შეერთებული შტატების დესტრუქციულ პოზიციას პრინციპულ კურსს, რომელიც ითვალისწინებს განიარაღებას და პლანეტაზე ყოვლისმომცველი უშიშროების დამყარებას. ეს აზრი ხაზგასმულია სსრ კავშირის ფართო მასშტაბის სამშვიდობო ინიციატივების გამო შრავლრიცხოვან გამოხმაურებებში, რომლებიც კვლავ მოდის ყველა კონტინენტის კვეყნებიდან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის წერილი „დელის ექსპრესის“ ლედერებისადმი საზღვარგარეთ ალიკვეს იმის ახალ გამოვლინებად, რომ საბჭოთა კავშირი იჩენს ნამდვილ მშვიდობისმოყვარეობას, სურს შეინარჩუნოს უბრთვო მსოფლიოსაკენ მიმავალ გზაზე რეიკავიკში მიღწეული ისტორიული მიჯნები.

ულან-ბატორი. სსრ კავშირის მიერ წამოყენებულმა პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე საუკუნის დამლევისათვის მასობრივი მოსპობის იარაღის სრულ ლიკვიდაციას, დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ბირთვული კატასტროფის საფრთხისაგან კაცობრიობის გადარჩენისათვის აქტიურ ბრძოლაში, წერს გაზეთი „უნენი“. ამ დოკუმენტს, რომლის წელსმოვსაც ფართოდ აღნიშნავენ მსოფლიოში, საფუძვლად უდევს ბირთვულ-კოსმოსური ეპოქის რეალობათა ღრმა ანალიზი. იგი განასახიერებს ახალ პოლიტიკურ აზროვნებას, რომელიც შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ლოგიკას.

მაგრამ ვაშინგტონს, წერს გაზეთი, არათუ პოზიტიური პასუხი არ გაუცია საბჭოთა წინადადებებზე, არამედ დემონსტრაციულად განაგრძობს ბირთვული კონფრონტაციისა და გამალებული შეიარაღების გაძლიერების **კურსს.**

ბუენოს-აირესი. არგენტინის „**რასონი**“ აღნიშნავს: საბჭოთა კავშირი არ ხსნის მის მიერ წინათ წამოყენებულ არც ერთ წინადადებას, რომლებიც ყველა სახეობის ბირთვული იარაღის მნიშვნელოვან შემცირებასა და მომდევნო ლიკვიდაციას, მშვიდობიანი კოსმოსის შენარჩუნებას უკავშირდება. გაზეთი ხაზს უსვამს სსრ კავშირის გადაწყვეტილებას ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ მიაღწიოს ახალ შედეგებს მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკავიკის შეხვედრის დროს მიღწეულის საფუძველზე.

პეკინი. ჩინეთის „**ჟენმინ ჟიბაო**“ სათაურით „საბჭოთა კავშირმა კვლავ დაადასტურა, რომ არ ხსნის შეიარაღების შემცირებასთან დაკავშირებულ წინადადებებს“, აქვეყნებს ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წერილის შესახებ. გაზეთის მოჰყავს საბჭოთა ხელმძღვანელის გამონთქვამი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი არ ხსნის რეიკავიკში წამოყენებულ, ყველა ბირთვული საშუალების მკვეთრი შემცირებისა და შემდგომი ლიკვიდაციის, პლანეტის გარშემო მშვიდობიანი კოსმოსის უზრუნველყოფისათვის გამიზნულ არც ერთ წინადადებას. წერილში, აღნიშნავს „ენმინ ჟიბაო“, აგრეთვე ლაპარაკია იმაზე, რომ სსრ კავშირი თანახმაა ისარგებლოს ექვსი ქვეყნის წინადადებით ბირთვული აფეთქებების შეწყვეტისადმი კონტროლის დაწესების დახმარების გაწევის შესახებ.

ნიუ-იორკი. არგენტინეს, საბერძნეთის, ინდოეთის, მექსიკის, შვეიცარიისა და ტანზანიის ლიდერებისადმი მ. ს. გორბაჩოვის წერილში გამოხატულია ქვეყნად ყველა ადამიანის სანუკვარი მისწრაფება მშვიდობისადმი, განაცხადა თვალსაჩინო ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალთა საერთაშორისო ლიგის მეთვალყურემ **ელიზაბეტ ფერერმა.** ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში დადასტურებული საბჭოთა საგარეო პოლიტიკის „უმანური მიზანი — XXI საუკუნე დაიწყოს ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გარეშე — ახლობელი და გასაგებია ყოველი გონიერი კაცისათვის.

დელი. საბჭოთა სამშვიდობო წინადადებებს მხარს უჭერენ და იწონებენ აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონის სახელმწიფოები, წერს გაზეთი „**პეტრიოტი**“. ამ კონსტრუქციულ ინიციატივებს მხურვალედ მიესალმება ინდოელი ხალხიც. ორ ქვეყანას ერთნაირი შეხედულებები აქვთ აზიაწყნარი ოკეანის რეგიონის აქტუალურ პრობლემებზე. ისინი დაინტერესებული არიან ავღანეთის მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგებით, ირან-ერაყის ომის შეწყვეტით. საბჭოთა კავშირი და ინდოეთი ერთად ცდილობენ გადაალეონ ინდოეთის ოკეანე მშვიდობის ზონად.

აზიაში უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები ვერ გადაიჭრება, თუ მოლიანად პლანეტაზე არ მოისპო ბირთვული საფრთხე, ხაზს უსვამს გაზეთი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და ინდოეთის ერთობლივ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ბირთვული ენერგიის განიარაღება, კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილება.

ვაშინგტონი. სენატორებმა **უილიამ პროქსმაირმა** და **ბენეტ ჯონსტონმა, აგრეთვე შეშფოთებულ მეცნიერთა კავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა** აქ **მოაწყვეს პრესკონფერენცია,** რომლის დროსაც გაილაშქრეს თეთრი სახლის იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ უკვე 1990-იანი წლების დამდეგისათვის განალაგონ კოსმოსური ბაზირების ელემენტებისინი რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის პირველი კომპონენტები.

სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის განხორციელება საშიშია, ვინაიდან იგი მოშლის შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესს და გზას გაუხსნის გამალებულ კოსმოსურ შეიარაღებას, გაბაცხადა ბ. ჯონსტონმა. ეს კი ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები დაარღვევს რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის ხელშეკრულებას.

ამასთან ერთად როგორც ბ. ჯონსტონმა, ისე უ. პროქსმაირმა მხარი დაუჭირეს შემდგომ კვლევა-ძიებას „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის ფარგლებში, კერძოდ, უახლესი დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შემუშავებას.

პრესკონფერენციაზე გამოსულმა შეშფოთებულ მეცნიერთა კავშირის დირექტორმა კურტ გოტფრიდმა დაგმო რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის კომპონენტების ადგილეული წარმოება და თქვა: „ასეთი ნაბიჯის ერთადერთი შედეგი იქნება მომაკვდინებელი დარტყმის მიყენება შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესისადმი და იმის უზრუნველყოფა, რომ სტრატეგიულმა თავდაცვითმა ინიციატივამ შემდგომი მეცნიერული კვლევის დასკვნებისაგან დამოუკიდებლად იარსებოს“.

◆ აშშ

სენატორები აკრიტიკებენ

ვაშინგტონი. სენატორებმა **უილიამ პროქსმაირმა** და **ბენეტ ჯონსტონმა, აგრეთვე შეშფოთებულ მეცნიერთა კავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა** აქ **მოაწყვეს პრესკონფერენცია,** რომლის დროსაც გაილაშქრეს თეთრი სახლის იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ უკვე 1990-იანი წლების დამდეგისათვის განალაგონ კოსმოსური ბაზირების ელემენტებისინი რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის პირველი კომპონენტები.

სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის განხორციელება საშიშია, ვინაიდან იგი მოშლის შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესს და გზას გაუხსნის გამალებულ კოსმოსურ შეიარაღებას, გაბაცხადა ბ. ჯონსტონმა. ეს კი ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები დაარღვევს რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის ხელშეკრულებას.

ამასთან ერთად როგორც ბ. ჯონსტონმა, ისე უ. პროქსმაირმა მხარი დაუჭირეს შემდგომ კვლევა-ძიებას „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის ფარგლებში, კერძოდ, უახლესი დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შემუშავებას.

პრესკონფერენციაზე გამოსულმა შეშფოთებულ მეცნიერთა კავშირის დირექტორმა კურტ გოტფრიდმა დაგმო რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის კომპონენტების ადგილეული წარმოება და თქვა: „ასეთი ნაბიჯის ერთადერთი შედეგი იქნება მომაკვდინებელი დარტყმის მიყენება შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესისადმი და იმის უზრუნველყოფა, რომ სტრატეგიულმა თავდაცვითმა ინიციატივამ შემდგომი მეცნიერული კვლევის დასკვნებისაგან დამოუკიდებლად იარსებოს“.

◆ ეგვიპტე

მთავრობის გადაწყვეტილება

კაირო. ეგვიპტის მთავრობამ ამერიკის შეერთებულ შტატებს აუკრძალა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში ატომური წყალქვეშა ნავების მონაწილეობით სამხედრო-ნავსადგომ მანევრების მოწყობა, იტყობინება ეგვიპტი „ალ-აჰალი“. იგი აღნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილება ეგვიპტის მთავრობამ მიიღო მას შემდეგ, რაც ამას წინათ კაიროს ვიზიტად ეწვია ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რიჩარდ მერფი.

ამ ვიზიტის დროს ეგვიპტის პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობს კორექტივები შეიტანოს თავის საახლოაღმოსავლეთ პოლიტიკაში, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის შესახებ საერთაშორისო მშვიდობიანი კონფერენციის მოწვევის საკითხში, რაც აძლევს რეგიონში სამართლიანი, მტკიცე და ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთლიანად დაკარგა ნდობა არა მარტო არაბულ ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოშიც, განაცხადა ამას წინათ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰ. მუბარაქმა, როცა განმარტავდა ირანხისათვის იარაღის მიწოდების გარიგებას.

● ავსტრია

ახალი კაბინეტი

ვენა. მუშაობას შეუდგა ავსტრიის ახალი „დიდი კოალიციის“ მთავრობა. მის შემადგენლობაში შევიდნენ ქვეყნის უდიდესი პოლიტიკური პარტიების — ავსტრიის სოციალისტური პარტიისა და ავსტრიის სახალხო პარტიის წარმომადგენლები.

მინისტრთა ახალ კაბინეტს სათავეში ჩაუდგა ავსტრიის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფრანც ვრანიცკი, რომელსაც ფედერალური კანცლერის პოსტი უკავია გასული წლის ივნისიდან.

ავღანეთი:

დიალოგი ყველაზე ეფექტიანი გზაა

● ნაჯიბი შეხვდა ოპოზიციის წარმომადგენლებს ● ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი პერეს დე კუელარს ● ავღანეთის ემიგრაციის წარმომადგენლთა პრესკონფერენცია

ქაბული. აქ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნაჯიბი შეხვდა იმ შეიარაღებული ნაწილების წარმომადგენლებს, რომლებიც რევოლუციურ ხელისუფლებას ებრძოდნენ ქაბულის პროვინციაში. დედაქალაქში ჩამოვიდა 541 კაცი, რომელთაგან 200-მა უკვე მოაწერა ხელი შეიარაღებული კონფრონტაციის შეწყვეტის ოქმებს.

გამოთქვა რა კმაყოფილება თანამემამულეებთან შეხვედრის გამო, ნაჯიბმა მოწონააღმდეგე მხარეების წარმომადგენლებს მოუწოდა გამართონ მშვიდობიანი დიალოგი. ჩვენ ერთი სამშობლოს შვილები ვართ. მოდით, ერთმანეთს მეგობრობისა და ძმობის ხატყვებით მივმართოთ და არა ჭურვებით. ომი ხომ ამერიკელებს, პაკისტანელებს ან ისრაელს კი არ სტანჯავს, არამედ ჩვენს ძმებს — ავღანელებს, თქვა მან.

ნაჯიბმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები ყოველთვის ცდილობდა ავღანელთა შორის შუღლის ჩამოგდებას. რაც შეეხება საბჭოთა ჯარების შეზღუდულ კონტინგენტს, იგი ავღანეთში მხოლოდ მაშინ შემოვიდა, როცა უცხოეთის ჩარევამ უკიდურესად საშიში ფორმები მიიღო. საბჭოთა მეომრების დაბრუნება სამშობლოში ეროვნული შერიგების პროგრამის შესრულებას უკავშირდება, განაცხადა ავღანეთის ხელმძღვანელმა.

შერიგება ჩვენი სისუსტის გამო როდი გვინდა, აღნიშნა მან. ახლა საკმაოდ ძლიერები ვართ. ამას მოწმობს ციფრები— ამჟამად რეგულუცია იარაღით იცავს ნახევარ მილიონზე მეტი კაცი. მაგრამ არ გვინდა ძალის გამოყენება ძმების წინააღმდეგ. ის, რასაც გთავაზობთ, მშვიდობისა და თანხმობის მისაღწევი ყველაზე ეფექტიანი გზაა. ჩვენ დემოკრატიული, დამოუკიდებელი, სუვერენული, მიუმხრობელი ავღანეთისათვის ვიბრძვით, ყველაფერი გვაქვს საიმისოდ, რომ ავაშენოთ განვითარებული საზოგადოება, ოღონდ მშვიდობის პირობებში, განაცხადა ნაჯიბმა.

შემდეგ შეხვედრაზე გამოვედინენ შეიარაღებული ნაწილების წარმომადგენლები. როცა აქ წამოსვლა დავაპირეთ, გვაშინებდნენ, ქაბულიდან ცოცხალი ვერც ერთი ვერ დაბრუნდებითო. თქვა, კერძოდ, 100-კაციანი რაზმის მეთაურმა მალექ ჯაისმა. მაგრამ ახლა ყველა ხედავს, რომ ხელისუფლება სიტყვის პატრონი ყოფილა და სრული უშიშროებით უზრუნველგვყო. მე და ჩემი ხალხი განვაგრძობთ ბრძოლას, ოღონდ ამჯერად ომისა და სისხლისღვრის წინააღმდეგ. ავღანელი თავისი თანამემამულეების სისხლს კი არ უნდა ღვრიდეს, არამედ სამშობლოს, ხალხის საკეთილდღეოდ უნდა შრომობდეს. ხაზი გაუსვა მან.

ქაბული. ავღანეთში სისხლისღვრის შეწყვეტისა და მშვიდობის მიღწევის პროგრამას ქმაყოფილებით შეხვდა იმ ავღანელთა უმრავლესობა, რომლებიც ახლა საზღვარგარეთ, უპირატესად პაკისტანსა და ირანში ცხოვრობენ, ნათქვამია ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ვაქილის წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხ. პერეს დე კუელიარისადმი. ბევრი მთგანი, ნათქვამია დოკუმენტში, მიმართავს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალურ წარმომადგენლებსა და საკონსულოებს თხოვნით დაეხმარონ, რომ დაბრუნდნენ სამშობლოში.

მთავრობის მითითების შესაბამისად ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პაკისტანისა და ირანის დროებით საქმეთა რწმუნებულებს მიმართა თხოვნით, რომ ამ ქვეყნების მთავრობებმა ავღანეთის მხარეს მისცენ ნება მოეწყოს სპეციალური ავიარეისები პაკისტანსა და ირანში, რათა ხელი შეუწყონ იქ მყოფ ავღანელთა სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებას.

დღემდე ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას თხოვნაზე დადებითი პასუხი არ მიუღია. ავღანეთის მთავრობა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სამშობლოში ემიგრანტების დაბრუნების გზაზე ხელოვნურ დაბრკოლებათა შექმნა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ პაკისტანი და ირანი მტრულად ეკიდებიან ამ პრობლემას და ცდილობენ არ დაუშვან ამ ქვეყნებში მცხოვრებ ავღანელთა დაბრუნება ავღანეთში. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა მოითხოვს ავღანელი ემიგრანტების დაბრუნების გზაზე შექმნილი დაბრკოლებების აღმოფხვრას.

ქაბული. ქაბულში გაიმართა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოსული ამერიკის შეერთებულ შტატებში ავღანეთის ემიგრაციის წარმომადგენლების ზია ნასრის, მოჰამედ ზაია ჯაგურის, საიდ ჯალალ ჰუსეინის პრესკონფერენცია.

ეროვნული შერიგების კონცეფციას, აღნიშნეს მათ, ყველა ავღანელი ფართოდ გამოეხმაურა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთაც. ქაბულში ჩამოვედით, რათა საკუთარი თვალით გვენახა, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. მივესალმებით ახალ ინიციატივებს და მოგვაჩნია, რომ მათ შეუძლიათ მშვიდობა მოუტანონ ავღანელ ხალხს. ეროვნული შერიგების იდეა კარგი შანსია იმისა, რომ დამყარდეს მშვიდობა და შეწყდეს ომი, რომლისგანაც იტანჯებიან უბრალო ადამიანები. პრესკონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პაკისტანის ქალაქ ფეშავარში კონტრრევოლუციონერთა დაჯგუფებებს არა აქვთ უფლება წარმომადგენდნენ ავღანელ ხალხს.

ავღანეთში გამართული საუბრების შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ დაბრუნდებით, თქვეს დასასრულ ემიგრაციის წარმომადგენლებმა. მოკუუვებით ეროვნული შერიგების პოლიტიკაზე, მოვითხოვთ კონტრრევოლუციისათვის იარაღის მიწოდების შეწყვეტას.

ფოტოფაქტი

ავღანელი მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პლენუმის გადაწყვეტილებას ეროვნული დაზავების მიღწევად. ქვეყნის ხელმძღვანელობის კურსს იწონებენ მუშები და გლეხები, ახალგაზრდები და ვაჭრები, ინტელიგენცია და სასულიერო პირები. მრავალტანჯული ავღანეთის მიწა-წყალზე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლა ხალხის მასებს საარსებო მნიშვნელობის ამოცანად მიაჩნიათ.

სურათზე: მაზარი-შარიფის ერთ-ერთ ქალთა ლიცეუმში პოლიტინფორმაციას ატარებს ბაბმანი (მარცხნივ).

საკრებულის ფოტო.

● ავღანეთის ემიგრაციის წარმომადგენლთა პრესკონფერენცია

● ერაყის პრეზიდენტის მიმართვა ირანელი ხალხისადმი ● პენტაგონის ავიამზიდი სპარსეთის უყურეში

პლანეტის „ცხელი წერტილები“

კონფლიქტის ესკალაცია

ბაღდადი. ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ირანელ ხალხს მიმართა წერილით, რომლითაც მას ირან-ერაყის ომის შეწყვეტისათვის მოუწოდა. სადამ ჰუსეინმა გაიმეორა ერაყის წინანდელი პირობები, რომლებიც ორ ქვეყანას შორის მშვიდობის დამყარებას ისახავენ მიზნად. მათ შორის არის ორი ქვეყნის არმიების უპირობო და სრული დაბრუნება საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებზე, სამხედრო ტყვეების გაცვლა და საზავო ხელშეკრულების დადება, რომელიც ერთმანეთის საშიშთა საქმეებში ჩაურევლობას ითვალისწინებს.

ერაყის ჯარები კვლავ იგერიებენ ირანელთა შეტევებს ბასრის აღმოსავლეთით. მთავარი სამხედრო სარდლობის ცნობით, მოწინააღმდეგე ორჯერ წარუმატებლად შეეცადა წინ წაწევას ალ-ასმაკის ტბის სამხრეთით. ერაყის ჯარები მთლიანად აკონტროლებენ მდგომარეობას ფრონტის სამხრეთ უბანზე. ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა და ვერტმფრინავებმა განვლილ დღეღამეში 569 საბრძოლო გაფრენა განახორციელეს, მათ დაბომბეს მოწინააღმდეგის ჯარების კონცენტრაციის რაიონები ფრონტის ხაზის გაყოლებაზე.

ბასრის აღმოსავლეთით გამართული ბრძოლების დროს ირანელებს გაუნადგურეს 16 დივიზია და ბრიგადა, სამი ცალკეული ჯავშანსატანკო ნაწილი.

ნიკოზია. ირანის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, რომ ბასრის რაიონში გამართული ბრძოლების დროს უკანასკნელი ორი დღის მანძილზე მოწინააღმდეგეს ათას ხუთასზე მეტი ჯარისკაცი დაეღუპა.

პარიზი. ფრანგული გაზეთი „მატენინ“ ცნობით, პენტაგონმა სპარსეთის უყურეში გაგზავნა ერთ-ერთი ავიამზიდი და მისი თანმხლები ხომალდების დიდი ქვეგანაყოფი. ამგვარად, შეერთებული შტატები ირან-ერაყის კონფლიქტის ესკალაციას იყენებს ამ რეგიონში დამაბულობის გაძლიერებისა და თავისი სამხედრო ყოფნის გაზრდისათვის.

● ერაყის პრეზიდენტის მიმართვა ირანელი ხალხისადმი ● პენტაგონის ავიამზიდი სპარსეთის უყურეში

„პარტიული სიტყვა“ №1

ბამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ **პირველი** ნომერი.

ანშლაგით „ბედს გამრჯელი ოეწევა“ დაბეჭდილია სარედაქციო წერილი — ეს შენი წელიწადია, ოქტომბერო!

რუბრიკით „რადიოარქივიდან“ გამოქვეყნებულია გ. ლეონიძის ერთი უცნობი საახალწლო მილოცვა — ავწიოთ ჩვენი დროშა ჩვენი შემოქმედებისა!..

განყოფილებაში „კარგ გამგონეს კარგი მთქმელი უნდა“ საერთო სათაურით „კვლავაც ფხიანად!“ დაბეჭდილია წერილები ლ. აგურაშვილისა — თანადგომით ბევრი გაგვიკეთებია; გ. ფალავასი — დიდია რწმენა მომავლისა; ჯ. ლომიტაშვილისა — თუ გარდაქმნაა, გარდაქმნა იყოს!

რუბრიკით „წიგნის თარო“ გამოქვეყნებულია ფ. მახარაძის — როცა იწერება კომპარტიის ისტორია...

„გაიმარჯვა“ „პარტიული სიტყვის“ კონკურსში“ — ასეთი რუბრიკით დაბეჭდილია ო. ხუციშვილის წერილი — სიტყვამადლიანი.

ჟურნალის აქვს განყოფილებები: „ნობათი სამშობლოს“; „მებრძოლ დროსთან ელავს კალამი“; „14 იანვარი ქართული თეატრის დღეა“; ამ ტრიალ ქვეყანაზე“; „გვწერენ, შენი შაავენ, ამხილებენ“; „მეცნიერის აზრი“ და სხვ.

„ვარსკვლავეთის ომები“

ვის აძლევს ხელს

ოსმოსის მშვიდობიანი ათვისების საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმის განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1963 წლის მოსკოვის ხელშეკრულებას ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომელსაც ამჟამად უკვე 111 სახელმწიფო შეუერთდა.

საბჭოთა კავშირის აქტიური დიპლომატიური საქმიანობის შედეგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1963 წლის 13 დეკემბერს ერთხმად მიიღო დეკლარაცია სახელმწიფოთა მიერ კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების სამართლებრივი პრინციპების შესახებ. უფრო მეტიც, ეს ერი ქვეყნის მიერ წარდგენილი რეზოლუციები საფუძვლად დაედო 1967 წლის 10 ოქტომბრის მრავალმხრივ ხელშეკრულებას კოსმოსის თაობაზე. ეს თარიღი ითვლება საერთაშორისო კოსმოსური სამართლის დაბადების დღედ.

აღნიშნული ხელშეკრულების მიღება მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი გამარჯვებაა. აქ იურიდიული დადასტურება პოვა ახალ სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივმა ვალდებულებებმა გამოიყენონ კოსმოსი მშვიდობისა და თანამშრომლობის სიკეთედ. აიკრძალა კოსმოსურ სივრცეში მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგება, ხოლო მთვარე და სხვა ციური სხეულები გამოცხადდა სრულიად დემილიტარიზებულ ზონად. ხელშეკრულებით კოსმოსური სივრცე და ციური სხეულები მიჩნეულია მთელი კაცობრიობის საერთო კუთვნილებად, მეორე მუხლი კი კრძალავს კოსმოსური სივრცის, მთვარის და სხვა ციური სხეულების მითვისებას, ოკუპაციას ან სხვა რაიმე ფორმით მათზე სახელმწიფო სუვერენიტეტის გავრცელებას. კოსმონავტები ცნეს კაცობრიობის ელჩებად კოსმოსში, სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს აღმოუჩინონ მათ ყოველგვარი დახმარება, მათ შორის უბედური შემთხვევების დროს.

1967 წლის ხელშეკრულების ფინანსმა მძლავრი ბიძგი მისცა კოსმოსური სამართლის შემდგომ განვითარებას. 60-იანი წლების ბოლოს, ნახევარში და 80-იანი წლების მიჯნაზე ძალაში შევიდა ფული რიგი ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა ურთიერთობას კოსმოსური კვლევის სხვადასხვა სფეროში. 1968 წელს დაიდო შეთანხმება კოსმოსურ სივრცეში გაშვებული კოსმონავტების გადარჩენის, კოსმონავტებისა და კოსმოსური ობიექტების დაბრუნების შესახებ. 1972 წლიდან მოქმედებს კონვენცია კოსმოსურ ობიექტებზე მიყენებული ზარალისათვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის თაობაზე. საბჭოთა კავშირის ინიციატივით შემუშავდა და 1978 წელს ძალაში შევიდა კონვენცია ბუნებრივ გარემოზე სამხედრო ან ნებისმიერ სხვა საშუალებათა ფართო ზემოქმედების აკრძალვის შესახებ, იგი კრძალავს კოსმოსური სივრცისა და კოსმოსურ ობიექტებთან გამოყენებას დედამიწის ბუნებრივი გარემოს საზიანოდ. 1984 წლიდან მოქმედებს ასევე სსრ კავშირის ინიციატივით შემუშავებული შეთანხმება, რომელიც შეიცავს მთვარეზე და სხვა ციურ სხეულებზე სახელმწიფოთა საქმიანობის სამართლებრივ პრინციპებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფოები კოსმოსური სივრცის კვლევისა და ათვისების დროს ვალდებული არიან ხელმძღვანელობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებით და მტკიცედ იცავდნენ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მათ შორის მშვიდობიანი თანაარსებობის, ძალის გამოუყენებლობის და სხვა ძირითად იმპერატიულ პრინციპებს. რა თქმა უნდა, ამ ნორმების დარღვევისათვის სახელმწიფოებს ეკისრებათ საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, შედარებით მოკლე ისტორიულ მონაკვეთში შექმნილია სოლიდური იურიდიულ-პოლიტიკური ბაზა, რათა კოსმოსური სივრცე გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის. ყველა ზემოჩამოთვლილ ხელშეკრულებებს ხელს აწერს ამერიკის შეერთებული შტატებიც. მაშ, რა უშლის ხელს კოსმოსში სრული განიარაღების მიღწევას?

მთავარი დაბრკოლებაა ამერიკის მმართველი პოლიტიკური წრეების, მათი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პოლიტიკა, რომლის მიზანია მსოფლიოში ჰეგემონიის მოპოვება და კოსმოსის მილიტარიზაციით არნახული მოგების მიღება. სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ეგრეთ წოდებული სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროექტმა ჯერ კიდევ დაწყებითის ეტაპზე უნდა შეადგინოს 350 მილიარდი დოლარი.

კოსმოსური სივრცის სამხედრო გამოყენების ასპარეზად გადაქცევის იდეა ამერიკაში არც დღეს ჩამოყალიბებულა და არც გუშინ. ჯერ კიდევ 1964 წელს ყოფილმა პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა განაცხადა: „ბრიტანელები ბატონობდნენ ზღვაზე და ხელმძღვანელობდნენ მსოფლიოს, ჩვენ ვბატონობდით ჰაერში და ვიყავით თავისუფალი სამყაროს ხელმძღვანელები... დღეს ამ მდგომარეობას დაიკავებს ის, ვინც კოსმოსში იბატონებს“. მართლაც, ამერიკის ადმინისტრაცია თავიდანვე ადგა ორპირულ პოლიტიკას, ერთმხრივ ამერიკის შეერთებული შტატები იღებდა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენებისათვის, მეორე მხრივ, მზადდებოდა გეგმები მისი მილიტარიზაციისთვის. პრეზიდენტ რ. რეიგანის მიერ გამოცხადებული ეგრეთწოდებული „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამით ეს პროცესი ახალ, უაღრესად საშიშ ფაზაში შევიდა და მის პრაქტიკულ განხორციელებას შესაძლებელია მოჰყვეს ტრაგიკული შედეგები თანამედროვე ცივილიზაციისათვის. ნიშანდობლივია, რომ 1982 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში შეიქმნა სპეციალური კოსმოსური სარდლობაც.

როგორც ცნობილია, 1967 წლის ხელშეკრულება კოსმოსის შესახებ არ კრძალავს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გაფრენას კოსმოსური ტრაექტორიით. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვეოდა თანაბარი უშიშროების პრინციპი და ამერიკის ერების ორგანიზაციის მხარე აღმოჩნდებოდა უსაფრთხო მდგომარეობაში, მაშინ როცა მისი მოგალარიცხოვანი სამხედრო ბაზები და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებები უშუალოდ არის განლაგებული საბჭოთა კავშირის საზღვრების გარშემო. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ქვეყანა კოსმოსური სივრცის სრული დემილიტარიზაციის საკითხს ყოველთვის უკავშირებს დედამიწაზე შეიარაღების მოსპობის ამოცანას.

ეუდნობა რა ზემოთ აღნიშნულ ნორმას, ამერიკის სამხედრო დოქტრინა უსაფუძვლოდ ცდილობს დასაბუთოს მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდების ბირთვული იარაღით აღჭურვის მართლზომიერება და გაიგივოს იგი ბალისტიკურ რაკეტებთან.

**ჯერ ერთი, ბალისტიკური რაკეტების გაფრენა კოსმოსში. იურიდიულად არ არის აკრძალული; მეორე, რაკეტის ფრენის ხანგრძლივობა კოსმოსური ტრაექტორიით მინიმალურია და იგი არ არის განკუთვნილი ორბიტაზე განლაგებისათვის; მესამე, მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საომარი ვითარების დროს. რაც შეეხება ამერიკული მრავალჯერადი გამოყენების ხომალდებს, მათ აქვთ პირველი კოსმოსური სიჩქარე, ისინი განკუთვნილია ორბიტაზე ფუნქციონირებისათვის, მათ შორის მშვიდობიან პერიოდშიც და მათზე ბირთვული ან სხვა სახის მასობრივი მოსპობის იარაღის მოთავსება პირდაპირ ეწინააღმდეგება კოსმოსის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც კრძალავს კოსმოსში ბირთვული იარაღის განლაგებას ნებისმიერი ფორმით. უაღრესად საშიშია პენტაგონის გეგმები კოსმოსური ხომალდების გამოყენებით მოახდინოს ორბიტაზე მყოფი სხვა სახელმწიფოთა თანამგზავრების ინსპექცია, მათი მოტაცება და შესწ

ერთი ფურცელი

▼▼

ახალ სამეურნეო წელს კარგად ირჯებიან „კოლხეთმშენის“ ტრესტის მშრომელები. მათ იანვრის 20 დღეში დაამთავრეს და მიწათმოქმედ გადასცეს ბევრად მეტი სავარგულები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ეს კი იმის საწინდარია, რომ პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას და დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის გაანაღდებენ ხუთწლედის ორი წლის გეგმას.

▼▼

ონი. დამთავრდა რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი დევნილთან „საქართველოს კურორტებს — სანიმუშო მომსახურება“. მასში მონაწილეობდა საქართველოს თერთმეტი საკურორტო რაიონი, მათ შორის — ონიც.

▼▼

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ნაბეჭდი გამოცემის 275 წლისთავისათვის მკითხველებს კარგი საჩუქარი მიუძღვნეს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებმა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა „საბჭოთა საქართველოს“ ფასადი. შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის ახალი გამოცემა.

▼▼

კარგი საჩუქარი მიიღეს დედაქალაქის ვარკეთილი-3 საცხოვრებელი მასივის პირველი მიკრორაიონის მცხოვრებლებმა, აქ საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი კორპუსის პირველ სართულზე გაიხსნა კაფე-საკონდიტრო.



სურათზე: კაფე-საკონდიტროს დარბაზი.

გ. კიკეპაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

▼▼

ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ნ. დუმბაძის ორმოქმედებიანი პიესა „მე ვხედავ მზეს“.

პიესა დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. წერეთელმა, მხატვრობა ეკუთვნის საკავშირო ფესტივალის ლაურეატს ჯ. კახნიაშვილს, მუსიკალური გაფორმება — რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს ო. გეგეჭაძეს.

▼▼

ახლა რამდენიმე წუთში შეიძლება რუსთავიდან საბჭოთა კავშირის თითქმის ას დასახელებულ პუნქტთან ტელეფონით დაკავშირება. ქალაქის მცხოვრებლებსა და სტუმრებს ასეთი შესაძლებლობა მისცა ავტომატური საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ახალმა არხმა, რომლის ტაქსოფონი დადგმულია ხალხთა მეგობრობის პროსპექტზე. მაღე კიდევ ერთი ასეთი ტაქსოფონი დაიდგმება.

ქომუნისტი

ჩვენი მისამართი

და ტელეფონები

380036, თბილისი-96.

ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09,
ა/მდივნის — 99-72-80,
სამდივნოსი — 99-66,10,
განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარცხისტულ-ლენინური თეორიის პრობლემებისა — 99-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მეზობელთა წერილების — 99-73-24, ილუსტрაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები

სოჩში — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; ბორი — 2-33-10; ახალციხე—2-03-15; ზუგდიდი — 2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის დადგენილების „საესტრადო მუსიკალური ხელოვნების განვითარების შესახებ“, ამავე საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გაწეული მუშაობა ჯერჯერობით საკმარისი არ არის. საჭიროა უფრო აქტიური, მიზანმიმართული მუშაობა, რათა სახლოლოდ აღმოვფხვრათ შეცდომები ამ დარგში და ჩვენი საესტრადო მუსიკა გადავაქციოთ ნამდვილ სახალხო ხელოვნებად.

გაზეთი „კომუნისტი“ რამდენჯერმე გამოეხმაურა ზემოაღნიშნულ დადგენილებას. ამჯერად გთავაზობთ კომპოზიტორ ნოდარ გიგაურის წერილს, რომელიც გარდა საოპერო, სიმფონიური და საგუნდო ნაწარმოებებისა, ავტორია პოპულარული საესტრადო სიმღერებისა. ამიტომაც ალელვებს ასე მუსიკოს ნამდვილი ჰიმღერის ბედი.

ПРОБЛЕМЕБИ ДА ГАНСЯ

ქართულ ესტრადას ქართული სიმღერა უნდა ამშვენებდეს

ჩვენს საესტრადო ხელოვნებას, საესტრადო სიმღერას დღემდე არ გამოუჩნდა ამ ჟანრისათვის თავგამოდებული მუსიკალური კრიტიკოსები, მუსიკათმცოდნეები, მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობით რომ მოეკიდებოდნენ საქმეს. არადა, ყველგან ჰყავთ ახლა კარგად გარკვეული და დახელოვნებული მუსიკალური კრიტიკოსები (ყველა ჟანრში), რომელნიც ფართოდ აანალიზებენ ხოლმე ამა თუ იმ ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს, მათ შორის საესტრადო სიმღერას. საკმარისია გამოვიდეს ახალი სიმღერა, რომ უმალ იბეჭდება რეცენზია სიმღერის ღირსებაზე, ინტონაციურობაზე, ფორმაზე, სტილზე, შემღერლის შესრულების შესატყვისობაზე, მაწერაზე და ა. შ. ამიტომაც, ყველა, ვინც ამ ჟანრს ემსახურება, მეტი მორიდებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეული სიმღერის შექმნისა და მის სიჯაროდ გამოტანას.

ჩვენთან, ამ მხრივ თითქმის სრული გულგრილობაა. აბა, ერთ საგულისხმო წერილს მაინც თუ გაიხსენებთ, სადაც პროფესიულად იყოს გარჩეული რომელიმე ჩვენი საესტრადო სიმღერა, მოცემული იყოს მისი ანალიზი. გაჭირდება ასეთი წერილის მონახვა.

დღემდე თითქმის სტიქიურად არსებობს ეს ჟანრი! არადა, ახალგაზრდობას (და, საერთოდ ფართო მსმენელს) უყვარს ესტრადა და უმისოდ არსებობაც კი ვერ წარმოუდგენია. ჩვენ კი რას ვაწვდით მათ, არსებითად ბევრს არაფერს, ანდა, ერთეულია გარდა, ისეთ უგემოვნოდ შეკოწიწებულ „სიმღერას“, რომელსაც ვერ გაუგებ, რა ენაზე მღერიან, სადაური მუსიკაა... ამიტომაც ეტანებიან ჩვენი საესტრადო კოლექტივები უცხოურს, შოულობენ ბრწყინვალე ინგლისურ, ამერიკულ, ფრანგულ ჩანაწერებს, სადაც ყველაფერი (პატრონობის მხრივ) ამსოლუტურ სიმაღლეზეა მისული და მისი მოსმენა მართლაც სინტერესო და სასიამოვნოა. სასიამოვნოა იმიტომ, რომ ისინი შექმნილია მაღალ პროფესიულ დონეზე, ტრადიციის, ეროვნულობის გათვალისწინებით. ერთ რამედ ღირს ამ სიმღერების თანხლება, ჩანაწერის ხარისხი, მომღერლის დამოკიდებულება სიმღერისადმი (ისინი სიმღერებს დგამენ, როგორც სპექტაკლებს).

დ. მოსტაკოვიჩს უთქვამს: კარგი სიმღერა ზმირად კარგ სმენფონიასაც კი უღრინა... მას მხედველობაში ჰქონდა ის ემოციური და კეთილსასურველი აღნაგობა, რომელიც უნდა ახლდეს ხელოვნების ყველა ნიმუშს, მათ შორის საესტრადო სიმღერას.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეს ჟანრი შეეტოვოთ დილეტანტებს და მსმენელს თავს მოვახვიოთ ყოველად ჩამოუყალიბებელი, სტილისტურად, ინტონაციურად გაუმართავი, ფორმის მხრივ უცხო ნაწარმოები... ამ საქმის ბევრი თვითმარქვია მეპატრონე ვერც კი გრძნობს, როგორ ასცდნენ იმ სწორ გზას, თავის დროზე ცნობილმა პროფესიონალმა კომპოზიტორებმა რომ გაიკვალეს. ამ საქმეში ხომ დიდი წვლილი მიუძღვით დავით თორაძეს, რეგაზ ლაღიძეს, რეგაზ გაბიჩვაძეს, არჩილ კირკისელიძეს, სანდრო მირიანაშვილს, სულხან ცინცაძეს, გიორგი ცაბაძეს, შოთა მილორავას, ბიძინა კვირკვაძეს, ოთარ თევდორაძეს. დები იშხნელების ღვაწლიც ხომ ფასდაუდებელია. წარსულში სითბოდ და სიხარულად მოვლენილი მათი სიმღერები თურმე „მოძველდა“ და დღეგანდელ ღღეს თურმე სხვანაირი, უფრო თავისუფალი სიმღერები სჭირდება. რას ნიშნავს ეს თავისუფლება? — გაუგებარია. თუ ესტრადას მოძალებულ დილეტანტთა შემოქმედებას გადავხედავთ, აი, რა ირკვევა: მათ მიერ დაწერილი სიმღერები მარილად ყველაფრისაგან „თავისუფალია“, იქ მთავარი აღარ არის, რას იმღერებ, მით ომეტეს, როდესაც საორკესტრო თანხლება ბევრ ადგილზე ისეთია, ან ინტონაციებია ასეთი, ან ფორმა ასეთ ბუნდოვანია, ან ტექსტი ასეთ ბანალურ ფრაზებს ეფუძნება, ან ... ეს ... ეს ... ეს